

განმარტებითი ბარათი

საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი;

----- წლის ----- მიღებული „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით (მე-3 კარის მე-13 თავის, 43-ე მუხლის „1. ბ“ ქვეპუნქტი) საქართველოს მთავრობას დაევალა ----- წლის -----მდე მიეღო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნა განაპირობებს მთავრობის დადგენილების მიღების აუცილებლობას.

ა.ბ) დადგენილების მიზანი;

დადგენილების მიზანია, საქართველოში მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის მექანიზმის დანერგვის მიზნით, წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესის განსაზღვრა და დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი;

წყლის რესურსების მართვის შესახებ საქართველოს კანონი ეფუძნება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპებს. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის უზრუნველყოფის მიზნით, კანონი ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ზედაპირული მიწისქვეშა წყლების წყლის

ობიექტებად იდენტიფიკაციას. კანონის შესაბამისად, წყლის ობიექტები წარმოადგენს წყლის რესურსების მართვის საბაზო ერთეულებს.

წყლის ობიექტების იდენტიფიკაციის ძირითადი მიზანია, მდინარეთა აუზების მართვის დაგეგმვის პროცესში მოგვცეს მათი კლასიფიკაციის, ტატუსის ზუსტი აღწერისა და ეკოლოგიურ ამოცანებთან შედარების საშუალება.

“ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის” (მუხლი 306) გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის იმ საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, რომელიც მითითებულია ასოცირების შესახებ შეთანხმების XXVI დანართში, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად.

საქართველოს კანონი “წყლის რესურსების მართვის შესახებ” აგრეთვე მოითხოვს, რომ ამ კანონით განსაზღვრული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები მიღებულ იქნას ევროკავშირის სამართლებრივ აქტებში ინტეგრირებული ნორმატიულ-ტექნიკური ხასიათის მოთხოვნების გათვალისწინებით (მე-3 კარის მე-13 თავის, 44-ე მუხლი “მისაღები კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან”).

დადგენილების წარდგენილი პროექტი შემუშავებულია აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბ) საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება;

მთავრობის დადგენილების წარდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფის აუცილებლობას.

გ) დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი;

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

დადგენილების პროექტი შემუშავებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ევროკავშირის „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოსდაცვითი პროგრამის“ მხარდაჭერით.

დ) ცვლილებები სხვა ნორმატიულ აქტებში, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება;

წარდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს სხვა ნორმატიულ აქტებში ცვლილებებს.